პროფესიული განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2022 წლის ანგარიში

2023 წელი

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესავალი

2022 წელს მომზადდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წწ), რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს განათლების სისტემის ყველა მიმართულებას. სტრატეგია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N446 დადგენილებით (31.08.2022) და ხორციელდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

აღნიშნული სტრატეგიის ხედვის შესაბამისად, 2030 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის მაღალი ხარისხი ინდივიდებს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთონ საუკეთესო არჩევანი თავიანთი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განსავითარებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარებას და ინდივიდებს მისცემს საშულებას რეალიზდნენ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ზემოხსენებული დოკუმენტი შემუშავდა სისტემური მიდგომით და სრულ თანხვედრაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან, განათლების მიმართულებით ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან და შესაბამის რეკომენდაციებთან. მასში გაცხადებულია საქართველოს მომავლის პოლიტიკური ხედვა, რომელიც ემყარება სწრაფვას, ააშენოს ევროპული სახელმწიფო. შესაბამისად, სტრატეგია მჭიდრო კავშირშია და შეესაბამება 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის", ასევე, პოლიტიკის ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც შემუშავებულია უწყებათაშორისი საბჭოებისა და კომისიების ფორმატში.

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას პროფესიული განათლების ჭრილში გათვალისწინებული იყო ევროპის განათლების ფონდის მიერ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) შეფასების შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები.

ამასთან, 2018 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „პროფესიული განათლების შესახებ“ დღის წესრიგში დააყენა მნიშვნელოვანი ინტერვენციების აუცილებლობა, რის შესახებაც წინამდებარე ანგარიში სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა. ასევე აღსანიშნავია, ასოცირების შეთანხმება და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საფინანსო ხელშეკრულება და მის ფარგლებში, ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით.

წინამდებარე ანგარიში ეხება სწორედ განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წწ) ფარგლებში პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით 2022 წელს მიღწეულ პროგრესს.

ანგარიში

პროფესიული განათლების მნიშვნელობა ხაზგასმულია სამთავრობო პროგრამაში და მისი სწრაფი განვითარება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან განიხილება, როგორც ქმედითი საშუალება ქვეყანაში სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის, უმუშევრობის შემცირებისა და ღირსეული დასაქმების უზრუნველსაყოფად.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა სისტემური მიდგომები პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მეტად მისადაგებისა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. შეიქმნა სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონი, შეიქმნა და დაინერგა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სტანდარტები, შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები და ზრდასრულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემური მიდგომა. განახლდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები; კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა 150-ზე მეტი პროფესიული კვალიფიკაცია; პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრაციით, შეიქმნა პროფესიული დიპლომით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; დაინერგა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები, რამაც ხელი შეუწყო კერძო სექტორის დაინტერესების ზრდას და კურსდამთავრებულთა ტრანზიციას შრომის ბაზარზე. საჯარო-კერძო პარტნიორობის კიდევ უფრო ქმედითი და სისტემური მექანიზმების დანერგვის მიზნით, 2021 წელს, საქართველოში მოქმედ დამსაქმებელთა გაერთიანებებთან კონსულტაციებისა და მათი მხრიდან გამოხატული მზაობის საფუძველზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ერთობლივად დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - პროფესიული უნარების სააგენტო. ახალი ინსტიტუციური მოწყობა დაფუძნებულია თანამონაწილეობის პრინციპზე და მიზნად ისახავს ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების აქსელერაციას საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობების გაზიარების გზით. პროფესიული უნარების სააგენტომ აქტიური ფუნქციონირება 2022 წლიდან დაიწყო, შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში ასახავს ზოგადად, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით მიღწეულ შედეგებს, მათ შორის, სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

პროფესიული განათლების მიმართულებით, სტრატეგიის სექტორული პრიორიტეტების შესაბამისად, გამოყოფილია სამი მიზანი:



მიზანი 1. საზოგადოებისა და ეკონომიკის საჭიროებებზე ორიენტირებული ინოვაციური და მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

საზოგადოებისა და ეკონომიკის საჭიროებებზე ორიენტირებული ინოვაციური და მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის, საკვანძო მნიშვნელობის მქონეა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით, 2022 წლის განმავლობაში აქტიური სამუშაოები განხორციელდა პროფესიული განათლების მასშტაბის ზრდის, პროგრამებში საკვანძო კომპეტენციების გაძლიერების, სასწავლო რესურსების განვითარების, საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

იმისათვის რომ პროფესიული სტუდენტების უნარები და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი იყოს, მნიშვნელოვანია კერძო სექტორი აქტიურად იყოს ჩართული კვალიფიკაციის შემუშავებისა და გადამუშავების პროცესში. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაეფუძნა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მომზადებულ ახალ მეთოდოლოგიას. მთავარი სიახლე, რაც კვალიფიკაციების განვითარების ახალ მოდელს უკავშირდება არის როლების ცვლილება განათლებისა და დასაქმების სფეროებს შორის. თუ მანამდე, პროფესიული კვალიფიკაციების შექმნა მეტწილად საგანმანათლებლო სფეროს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, ახალი მიდგომის თანახმად, კვალიფიკაციების შექმნა-განვითარება დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (სექტორული ასოციაციების ქოლა ორგანიზაციები) მთავარი ფუნქცია

გახდა, ხოლო მეთოდოლოგიური მხარდაჭერისა და კოორდინაციის ფუნქცია პროფესიული უნარების სააგენტოს მეშვეობით განხორციელდება.
პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ახალი მეთოდოლოგია ადგილობრივი შრომის ბაზრის მახასიათებლების შესწავლის პარალელურად, ასევე ითვალისწინებს, საერთაშორისო ტენდენციებისა და პროფესიული კლასიფიკატორების შესწავლას, რათა კვალიფიკაციებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიღმა არ დარჩეს ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებიც აქტუალურია სხვა ქვეყნებში, თუმცა საქართველოს დასაქმების ბაზარზე ჯერ არ არის მოთხოვნადი. ახალი მეთოდოლოგიის პილოტირების მიზნით, დარგობრივი ორგანიზაციების ჩართულობით საანგარიშო პერიოდში უკვე მომზადდა დარგობრივი რუკები (კონკრეტულ სექტორში არსებული პროფესიული მოვალეობები და ამოცანები დაჯგუფებული, სტრუქტურირებული მიმართულებების მიხედვით) 12 ეკონომიკურ სექტორში, შეიქმნა 4 პროფესიის სტანდარტი (პროექტი) და 4 საგანმანათლებლო სტანდარტი (პროექტი).
პროფესიული განათლების მართვაში კერძო სექტორის სისტემური და მდგრადი ჩართულობის მიზნით, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილებით დამტკიცდა "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობები", ხოლო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 05 სექტემბრის N451 დადგენილებით დამტკიცდა "პირის მიერ სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესი და პირობები". სწორედ აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე მკაფიოდ განისაზღვრა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული მხარეები და მათი პასუხისმგებლობები, ამასთან, სისტემაში შემოვიდა ისეთი ინსტიტუციური სუბიექტი, როგორიცაა **დარგობრივი უნარების ორგანიზაცია (დუო),** რომელიც პროფესიული ასოციაციების ქოლგა ორგანიზაციას წარმოადგენს . დუოს საშუალებით შესაძლებელი ხდება მეზო დონეზე დარგობრივი პრიორიტეტებისა და მიმართულებების შეთანხმებული და შეჯერებული კოორდინაცია. რაც, საბოლოო ჯამში დადებით გავლენას მოახდენს პროფესიული სტუდენტების უნარებისა და კომპეტენციების შესაბამისობაზე შრომის ბაზართან. დუოს მთავარ ფუნქციებს წამოადგენს დარგობრივი ცოდნის და ექსპერტიზის საფუძველზე პროფესიის სტანდარტებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება და როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, ისე საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა. **განხორციელებული სამუშაოების შედეგად, დარგობრივი უნარების ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფები ჩამოყალიბებულია 9 ეკონომიკურ სექტორში.**

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არის პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, ხარისხისა და ეფექტიანობის გარანტია. დადგენილების თანახმად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ამასთან, განსაზღვრულია, რომ სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართვის შედეგად საწარმოები მოამზადებენ მაღალკვალიფიციურ დასაქმებულებს, რომლებსაც საწარმოს საჭიროებებზე მორგებული უნარები და სამუშაო გამოცდილება ექნებათ. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების

ფარგლებში, პროფესიული სტუდენტები, უმეტეს შემთხვევაში, მუშაობის პარალელურად ივითარებენ როგორც ტრანსფერულ, ასევე პროფესიულ უნარებს, ეძლევათ საშუალება, გაიცნონ დასაქმების სამყარო და გაიუმჯობესონ დასაქმების/კარიერული წინსვლის შესაძლებლობები. პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში კომპანიებთან პარტნიორობა ქმნის ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური სიახლეების გაცნობის, პროფესიული სტუდენტებისთვის სრულყოფილი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის საშუალებას, ასევე აუმჯობესებს მათ მიერ ორგანიზებული სწავლებისა და მიღწევების ხარისხს და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარება სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ზემოხსენებული დადგენილებების ამოქმედება კი, წინ გადადგმული ნაბიჯია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კიდევ უფრო გაძლიერების მიმართულებით.

ხაზგასასმელია, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროგრამების დანერგვა, დონორი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 2016 წლიდან დაიწყო, რამაც საგრძნობლად გაზარდა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად წლიდან წლამდე მზარდია დანერგილი დუალური პროგრამების და ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა - 2022 წლის მდგომარეობით სისტემაში ხორციელდება 40-მდე დასახელების დუალური პროგრამა. დუალურ პროგრამებზე 2022 წლის მიღების ფარგლებში ჩაირიცხა 550-მდე პროფესიული სტუდენტი. 2021 წელთან შედარებით, დუალურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა 35%-ით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერისა და კონსულტირების შედეგად, **2022 წელს ცამეტმა საჯარო დაწესებულებამ 395 ადგილზე მოიპოვა დუალური პროგრამების განხორციელების უფლება.**

2020 წლიდან საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შედეგად განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის კავშირი გახდა მეტად მოქნილი, სკოლის მოსწავლეებს კი სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე გასვლის პარალელურად, მათთვის საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა მიეცათ. ამ ტიპის პროგრამის დასრულების შემდგომ, პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად პირი იღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს. აღნიშნული პროგრამების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრო მხარს უჭერს ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბის ზრდას. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ ინტეგრირებულ პროგრამებზე სწავლება ხელმისაწვდომია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. საანგარიშო პერიოდში, 8 საგანმანათლებლო დაწესებულებამ (6 საჯარო და 2 კერძო) მოიპოვა 29 ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების უფლება, ავტორიზაციის გზით. შედეგად, სისტემის დონეზე, ხორციელდება 91 ინტეგრირებული პროგრამა, 26 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 2022 წლის მიღების ფარგლებში, ინტეგრირებულ პროგრამებზე ჩაირიცხა 570

პირი. აღნიშნული ტიპის პროგრამებს ახორციელებენ როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

2022 წლის განმავლობაში შემუშავდა ელექტრონული სახელმძღვანელოები ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლების მხარდასაჭერად შემდეგი მიმართულებებით: "მეცნიერება და ტექნოლოგიები", "მათემატიკური წიგნიერება" და "მოქალაქეობა". ასევე, შემუშავდა კომპლექსური დავალებების კრებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის "მეცნიერება და ტექნოლოგიები". ჯამში, 2022 წლის განმავლობაში შემუშავებულია სულ 7 სხვადასხვა სასწავლო რესურსი. ყველა მათგანი არის ციფრული ფორმატის.

ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა არსებითად გაზრდის ახალგაზრდების ჩართულობას პროფესიულ განათლებაში, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემამ შესთავაზოს საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი სერვისები ზრდასრულ მოსახლეობასაც. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდება ზრდასრული მოსახლეობისათვის წარმოადგენს ქმედით ინსტრუმენტს მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისათვის. სწორედ ამ მიზნით, 2019 წლიდან საქართველოს ფორმალური განათლების სისტემაში დაიწყო ახალი საგანმანათლებლო სერვისების დანერგვა. შეცვლილი სისტემისა და რეგულაციების საფუძველზე, ტრანსფორმირდა ფორმალური განათლების მხოლოდ საგანმანათლებლო ინსტიტუციებში მიღების იდეა და აქამდე არსებულ პროვაიდერებსა და კვალიფიკაციებს დაემატა კერძო სექტორი საგანმანათლებლო კომპონენტითა და არასტანდარტული კვალიფიკაციებით. კერძო-საჯარო პარტნიორობის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების დასრულების შემდეგ, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო, სტუდენტები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატებს იღებენ. აღნიშნული ინიციატივა, დანერგვის დღიდან, ხელშესახები შედეგებით გამოირჩევა. კერძოდ, **2022 წლის განმავლობაში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სისტემას, საერთო ჯამში დაემატა 57 იურიდიული პირის 163 პროგრამა (მათგან 75 უფლების მოპოვების გზით),** რომელთაგან 128 პროფესიული მომზადების პროგრამაა, ხოლო 35 - პროფესიული გადამზადების პროგრამა. აღნიშნულ იურიდიულ პირთაგან 27 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას, 3 სახელმწიფო არასაგანმანათლებლო დაწესებულებას, 18 კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას, ხოლო 9 კერძო არასაგანმანათლებლო დაწესებულებას განეკუთვნება.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები საქართველოს ყველა რეგიონშია ხელმისაწვდომი. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამებზე ჩაირიცხა 12 100-ზე მეტი პირი. საინტერესოა ასევე აღნიშნული ინიციატივის განხილვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში - 2022 წლის მდგომარეობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული დაწესებულებების 67% ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს. 2022 წელს დაფინანსდა 150-მდე პროგრამა, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ით მეტია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტს წამოადგენს ზემოხსენებული პროგრამების მასშტაბის ზრდა, რაც დეკლარირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაშიც (2022-2030). სწორედ ამიტომ, წლიდან წლამდე მზარდია აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსებაც. აღნიშნული პროგრამების განხორციელებას კოორდინაციას უწევს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებული მიდგომებისა და მექანიზმების განვითარების მიმართულებით. კერძოდ, 2022 წლის განმავლობაში შემუშავდა "პროფესიული განათლების საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების კონცეფცია", რომელიც მოიცავს საჭიროებების ანალიზსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, სამინისტროს მხარდაჭერით სააგენტომ დაიწყო მუშაობა საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების კურსებისა და რესურსების განვითარებაზე. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა პროფესიულ განათლებაში ციფრული და შერეული სწავლების კონცეფცია და დანერგვის მექანიზმები, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული განათლებისთვის სასწავლო ელექტრონული პლატფორმის (LMS) განვითარების მოდელს, რომელიც ამჟამად მუშავდება აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით.

პროფესიული განათლების საფეხურზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინაიდან ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბება ადამიანური კაპიტალის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. განათლების სისტემის ამოცანაა სწორედ ასეთი თაობების აღზრდა. ამ მიზნით, 2020 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით, შეფასდა სამოქალაქო განათლების არსებული საგანმანათლებლო მოდული და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად **შემუშავდა და დამტკიცდა სამოქალაქო განათლების ახალი მოდული.** განახლებული მოდული ითვალისწინებს სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესისადმი ჰოლისტურ მიდგომას და ორიენტირებულია, ერთის მხრივ ფაქტობრივი და კონცეპტუალური ცოდნის მიღებაზე, მეორეს მხრივ კი დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობის აუცილებელი უნარების გამომუშავებაზე. პროექტის ფარგლებში, ასევე შემუშავდა მასწავლებლის გზამკვლევი, სტუდენტის სახელმძღვანელო და განხორციელდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ტრენინგების ციკლი (გადამზადდა სამოქალაქო განათლების 107 პედაგოგი). 2022 წლის ივნისიდან ამოქმედდა სამოქალაქო განათლების ახალი მოდული. სამუშაო პროცესი კვლავ გრძელდება IFES-სა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ. შემდგომი სამუშაოები მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაზრდას.

საკვანძო კომპეტენციებთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელების დროს, სამინისტრო ხელმძღვანელობს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების“ შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაციით (2018/C 189/01). შესაბამისად, საკვანძო კომპეტენციების ჭრილში განხორციელებული სამუშაოების განხილვისას მნიშვნელოვანია უცხოური ენების სწავლების კომპეტენციის ხაზგასმაც. ამ მიმართულებით, 2022 წელს აზიის

განვითარების ბანკის (ADB) პროექტის ფარგლებში უცხო ენის სწავლების ახალი მიდგომის პილოტირების მიზნით, შემუშავდა ინგლისური და გერმანული ენების სწავლების ახალი მოდელის დანერგვის ტექნიკური დავალების დოკუმენტი. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს უცხო ენის სწავლების ევროპული CEFR ენების ჩარჩოს კომპეტენციების შესაბამისი დონეების მიხედვით სტუდენტების საჭიროებების შეფასებას და სწავლებას. უცხო ენის სწავლების ცენტრის კონცეფციის პილოტირება დაგეგმილია რეგიონალური ჰაბების ბაზაზე (ქუთაისსა და თელავში), რის შემდეგაც შემუშავდება კონცეფციის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვის გეგმა და ჩამოყალიბდება უცხო ენის სწავლების საბოლოო პოლიტიკის დოკუმენტი.

ხაზგასასმელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში განათლების ყველა საფეხურზე სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. 2015 წლიდან, ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ინტეგრირდა სამეწარმეო კომპეტენციების განმავითარებელი მოდული და ის ამჟამად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. აღნიშნული მოდული გადაიხედა და განახლდა ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების სწავლების ჩარჩოს (EntreComp) ჭრილში. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა მოდულის შესაბამისი ახალი ელექტრონული სახელმძღვანელო "ანტერპრენერობა" და შესაბამისი დავალებების კრებული (toolkit) (აღნიშნული ციფრული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ ბმულზე: http://entrepreneurship.ge). მეწარმეობის მოდულის დანერგვისთვის, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, ორგანიზაციასთან "მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ ("Action Against Hunger)" თანამშრომლობით, Shuttle მეთოდოლოგიის მიხედვით, შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის გზამკვლევები. ამ მეთოდოლოგიის ამოცანებს წარმოადგენს: სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, მონაწილეების დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და მონაწილეების სამეწარმეო და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. შემუშავდა მეწარმეობის სწავლებისათვის ახალი ელექტრონული სახელმძღვანელო "ანტერპრენერობა" და შესაბამისი დავალებების კრებული. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროფესიული უნარების სააგენტოსა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) თანამშრომლობით, შემუშავდა პროფესიული სასწავლებლების ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგია შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

2022 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადდა კონკურსი, რომლის მიზანიც იყო ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და არაფორმალური განათლების გზით, პროფესიული სტუდენტების საკვანძო კომპეტენციების განვითარება. აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგად დაფინანსებული 22 პროექტიდან 6 სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებას ისახავდა მიზნად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №3 დადგენილებით დამტკიცდა **"სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები",** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეწარმეო საქმიანობის

ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზამკვლევი, ჩატარდა საინფორმაციო სემინარები კოლეჯებისათვის და შემუშავდა ეკონომიკური საქმიანობის პილოტირების გეგმა. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს როგორც დაწესებულებების გაძლიერებას, ისე პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო გამოცდილების გაზრდას.

იმისათვის რომ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აღჭურვილნი იყვნენ დასაქმებისათვის საჭირო უნარებითა და კომპეტენციებით, აუცილებელია უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების გაძლიერება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის ყველა შემადგენელ ნაწილს ერთიანი, მწყობრი მექანიზმის ჭრილში აფასებს და ინსტიტუციის წინაშე აყენებს მისი მუდმივი განვითარებისათვის ხედვის არსებობის აუცილებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა დაწესებულება **2027 წლისთვის იქნება ავტორიზებული/რეავტორიზებული ახალი სტანდარტების შესაბამისად.** 2022 წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა 8 პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა ხელახალი ავტორიზაცია (სულ 138 პროგრამით), 5 კერძო დაწესებულებამ (18 პროგრამით) გაიარა ხელახალი ავტორიზაცია, ასევე, ერთმა დაწესებულებამ მოიპოვა ავტორიზაცია 1 პროგრამით.

აღნიშნული მიმართულებით გრძელდება ინტენსიური სამუშაოები როგორც სამინისტროს, ისე სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რათა მაქსიმალურად იქნეს მობილიზებული შესაბამისი რესურსები და მხარდამჭერი მექანიზმები დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით.

2022 წელს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის პროცესში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის შეფასება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში EQAVET-ის ინდიკატორები ადაპტირდა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოცემულობის გათვალისწინებით, განისაზღვრა მონაცემების მოძიების წყაროები და მეთოდები, დამუშავდა ინდიკატორის მიხედვით შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და **შემუშავდა სისტემის შეფასების 2022 წლის ანალიზის დოკუმენტი EQAVET-ის ხუთი ინდიკატორის მიხედვით.** 2023 წლის განმავლობაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაგრძელდება სამუშაოები აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღებამ საფუძველი შეუქმნა პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურ მუშაობას, რაც მოიცავს როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვას, ისე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას პოლიტიკის შემუშავების, რეგულაციების დადგენისა თუ სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მიმართულებით. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი

ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა სისტემურ დონეზე. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დაეფუძნა ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პრინციპებს, რაც ხელს უწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების თავსებადობას და აღიარებას განათლების ევროპულ სივრცეში. დაინერგა პროფესიული განათლების კრედიტების სისტემა, რომელიც ეფუძნება ევროპულ მექანიზმს - ECVET; ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეიქმნა და დაინერგა პროფესიული დიპლომისა და სერტიფიკატის, ასევე მათი დანართების განახლებული ფორმები.პროფესიული განათლების შესახებ ახალმა კანონმა, ასევე, შექმნა სამართლებრივი საფუძველი პროფესიულ განათლებაში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად. **2022 წელს მომზადდა ერთობლივი და გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესების პროექტები.** აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივი საფუძველია საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გასაღრმავებლად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საგანმანათლებლო პროცესში გასათვალისწინებლად და სტუდენტთა მობილობის ხელშესაწყობად. ასევე, აღნიშნული პროგრამების ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად, პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემისათვის - eVET - შეიქმნა ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების ციფრული მოდულების განვითარებისთვის საჭირო ტექნიკური დავალება. გარდა ამისა, 2022 წლიდან Erasmus+ პროგრამა ამოქმედდა პროფესიული განათლების საფეხურზე და ეტაპობრივად განხორციელდება ამ მიმართულებით მასშტაბების გაზრდა.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციის "სენიორ ექპერტ სერვისი (SES)" ექსპერტებს შორის. თანამშრომლობის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდა გერმანელ ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში (20 ექპერტი). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების მხარდაჭერა. ასევე, დაწესებულებები აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან უცხოელი ექსპერტების მოზიდვისა და მათი სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით. 2023 წელს დაგეგმილია ვიზიტორ ექპერტთა 50%-იანი ზრდა.

უნარების განვითარების პროცესში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები ჩართულნი არიან საერთაშორისო პლატფორმებში. მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები ჩართულები არიან ევროპის განათლების ფონდის (ETF) - Network for Excellence (ENE)-ის ქსელში (https://www.etf.europa.eu/en/projectsactivities/projects/network-excellence). ინიციატივის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება, რომლის წევრებსაც ექნებათ აქტიური კომუნიკაცია და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ახალი იდეების შექმნასა და განხორციელებას. 2022 წლის განმავლობაში ქსელში ჩართულმა

დაწესებულებებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ღონისძიებაში. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ასევე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, პროფესიული უნარების სააგენტო გახდა რამდენიმე საერთაშორისო პლატფორმის წევრი: WorldSkills International საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი; შეგირდობის ევროპული ალიანსის (European Alliance for Apprenticeships (EAfA) წევრი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum (WEF) ქსელის, უნარების აქსელერატორი (Skills Accelerators) წევრი.

მნიშვნელოვანია ასევე ცალკეული ინიციატივები, რომელთა ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მიეცათ. 2022 წლის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და იტალიის კომპანიას (U.C.M. – Italy association) შორის წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში, კოლეჯების „ბლექსი“, „იკაროსი“, „აისი“ და „მოდუსი“ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს იტალიური ენის კურსები, ასევე, იტალიელი შეფების მიერ, გაიმართა მასტერ-კლასები. პროექტში ჩართული 63 პროფესიული სტუდენტი, იტალიაში, 3-თვიანი სტაჟირების გავლის მიზნით, იტალიაში გაემგზავრება მიმდინარე წლის ივნისში. ხარჯები სრულად დაფინანსდება მომწვევი მხარის მიერ. ასევე, სტაჟირების დროს, უზრუნველყოფილი იქნება ანაზღაურება. გარდა ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სოფლის მეურნეობის მიმართულების სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პრაქტიკაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. პროგრამა საერთაშორისო მობილობის ხელშესაწყობად ხორციელდება და მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას. საერთაშორისო პრაქტიკა AgroKontakte International-თან თანამშრომლობით ხორციელდება. პროგრამაში 2022 წელს ექვსმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

საზოგადოებისა და ეკონომიკის საჭიროებებზე ორიენტირებული ინოვაციური და მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება შეუძლებელია კვალიფიციური მასწავლებლების კორპუსის გარეშე. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა 12 დარგობრივი ქსელი, რომლის მეშვეობითაც დარგის მასწავლებლები პროფესიული მიზნებისა და პროექტების გარშემო გაერთიანდნენ. აღნიშნული მიმართულებებია: აგრარული სექტორი, ჯანდაცვა, პერსონალური სერვისები, მეწარმეობა, ინტეგრირებული მოდულები (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, რაოდენობრივი წიგნიერება, მეწარმეობა, მოქალაქეობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ფიზ. გეოგრაფია). ასევე შეირჩა და გადამზადდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების 12 საგნობრივი ექსპერტი, რომლებიც ფასილიტაციასა და მეთოდოლოგიურ კონსულტაციას უწევენ დარგობრივი ქსელების მასწავლებლებს. დარგობრივი ქსელების მუშაობის ეფექტიანად ორგანიზების ხელშესაწყობად შეიქმნა პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი ქსელების კონცეფციაც, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის მიმართულებების მიმოხილვას და რეკომენდაციებს. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმწოდებლების მოქნილი და ეფექტიანი ქსელის გაძლიერებას.

2022 წლის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავებულ მარეგულირებელ ჩარჩოზე, რომლის ფარგლებშიც უკვე შექმნილია პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის კონცეფცია; პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, შეფასების და უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფცია; პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და ეთიკის სახელმძღვანელო; მიდგომა ასევე ითვალისწინებს მასწავლებელთა ელექტრონული პლატფორმის განვითარებასაც. უკვე შექმნილა მასწავლებლის განვითარების ელექტრონული პლატფორმის ტექნიკური დავალების ძირითადი ნაწილიც.

გარდა ამისა, სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტისა და მასწავლებლის მომზადების, შეფასების და უწყვეტი პროფესიული განვითარების მარეგულირებელი აქტის პროექტზე. ასევე, შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის მოდულების გეგმა და მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიაში შესვლის კონცეფცია. 2023 წელს იგეგმება პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის დანერგვისა და განხორციელების გეგმის შემუშავება, კოლეჯებთან კომუნიკაციის გაძლიერება და მოსამზადებელი პროგრამის პილოტირება.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მიერ, რეფორმის ეფექტურობის შეფასების მიზნით, რეგულარულად ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study). ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტომ, 2021 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შეისწავლა კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევის მიმართულებით არსებული პრაქტიკა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი მეთოდოლოგია. კვლევის ახალი დიზაინი იძლევა მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობას სხვადასხვა ჭრილში, მათ შორის, კვალიფიკაციები, პროფესიული პროგრამები, რეგიონული, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და ა.შ. 2022 წელს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით ჩატარდა 2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა კვლევა ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, 2020 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს - 60%-ს, ხოლო 2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - 74%, მათგან თვითდასაქმებულთა წილი შეადგენს 20%-ს.



ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.1: დუალური პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 653-ს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.2: 2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით 2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა თვითდასაქმების წილი შეადგენს 20%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2.1: 2022 წელს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე, პროფესიული უნარების სააგენტომ შეიმუშავა 3-დღიანი ტრენინგ-მოდული სწავლება-შეფასების მიმართულებით, რის მიხედვითაც გადამზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა დაახლოებით 20% (509 მასწავლებელი).

მიზანი 2. მრავალფეროვანი, ინკლუზიური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მრავალფეროვანი, ინკლუზიური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების გაძლიერება ინოვაციური,

მრავალფეროვანი და ინკლუზიური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქნილი ქსელის განვითარების მეშვეობით.

პროფესიული განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის გაფართოება. ამ მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში ფუნქციონირება დაიწყო არაერთმა კოლეჯმა ახალ ლოკაციებზე (ჩოხატაური, მარნეული, კასპი, შუახევი, ხულო, ქედა და ა.შ.). 2022 წელს კი დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება ახალ ლოკაციებზე - ხაშურის, წყალტუბოსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში.



აღნიშნულმა დაწესებულებებმა აქტიურად დაიწყეს მზადება ავტორიზაციის გასავლელად. საანგარიშო პერიოდში, ასევე, გაგრძელდა მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიმართულებით ბორჯომში, ახალქალაქში, ბოლნისში, გურჯაანში, თბილისსა და ამბროლაურში.

ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ბასკეთის კულინარიული ცენტრისა და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით, გაგრძელდა გურჯაანში კავკასიის უნივერსიტეტის **გასტრონომიული აკადემიის** განვითარებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება. პროექტის ფარგლებში აშენდება კამპუსი, სპორტული დარბაზი და მოეწყობა რეკრეაციული სივრცე. აკადემია პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს საერთაშორისო

სტანდარტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უცხოელი სტუდენტებიც ისწავლიან. სამინისტროს მიერ ასევე ფინანსურად მხარდაჭერილია ბასკეთის მხარის საკონსულტაციო სერვისი.

კავკასიის უნივერსიტეტის გასტრონომიული აკადემია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას და ქართული კულინარიის შესახებ ცნობადობის ამაღლებას მსოფლიოს მასშტაბით. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კახეთის რეგიონის და, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

გარდა ამისა, სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) პარტნიორობის ფარგლებში, აქტიურად გაგრძელდა თბილისში ტრანსპორტის/ლოგისტიკისა და სამშენებლო მიმართულების ე.წ. **ექსელენს ცენტრის** განვითარების პროცესი. საკონსულტაციო კომპანია PEM consult-ის მიერ მომზადდა პროექტის განხორციელების კონცეფციის ანგარიში, სექტორების საჭიროებების ვერიფიკაცია და ექსელენს ცენტრის არტიტექტორული პროექტი. ასევე, დაიწყო მუშაობა ბიზნეს მოდელისა და ინსტიტუციური მოწყობის გეგმაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის დასაწყისში.

2022 წლის განმავლობაში სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის გაგრძელდა მოლაპარაკებები საერთაშორისო დონის ორი ახალი დაწესებულების – თელავში ღვინის და დუშეთში ტურიზმის მიმართულების ექსელენს ცენტრის განვითარების შესახებ. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, ჩატარდა საჭიროებების ანალიზი (Feasibility study), გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ხელი მოეწერა შეთანხმების ოქმს და სხვ. აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით, გერმანია-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების ფარგლებში შეთანხმებულია საგრანტო დაფინანსების გამოყოფა 24 მილიონი ევროს ოდენობით. შეთანხმების გაფორმება დაგეგმილია 2023 წელს.

ამავე დროს, პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო რეფორმის ახალი მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლების გაძლიერებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად. აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით (პროექტი დაფინასნებულია ევროკავშირის მიერ), აქტიურად დაიწყო მუშაობა 30 საჯარო სკოლასთან, რის შედეგადაც, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელი იქნება კიდევ 29 მუნიციპალიტეტში. 2023 წლიდან, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიწყება დამატებით 30 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესაძლებლობების განვითარება პროფესიული კურსების განხორციელების მიზნით. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, 2027 წლისთვის პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.

გარდა ახალი ლოკაციებისა, ინფრასტრუქტურული სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობს არსებული დაწესებულებების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. მათ შორის, დასრულდა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც პროფესიული განათლების მიზნებისთვის იქნება გამოყენებული, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. ახალქალაქში და დაიწყო სამუშაოები ქ. ბათუმში კოლეჯის „ბლექსი“ ახალი შენობის განვითარების მიზნით.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის განხილვისას, ხაზგასასმელია ასევე პროფესიული სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხი. პროფესიული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს რეაბილიტირდა და აღიჭურვა საერთო საცხოვრებელი სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ (ქ. თბილისი), შედეგად, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ხელმისაწვდომია 6 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში **(კოლეჯი „აისი“ - კაჭრეთი, კოლეჯი კონსტრუქტ2 - ზესტაფონი, კოლეჯი „იბერია“ - ქუთაისი, კოლეჯი „ახალი ტალღა“ - ქობულეთი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ზუგდიდი, კოლეჯი "სპექტრი").** იმ დაწესებულებების პროფესიული სტუდენტებისათვის, სადაც ამ ეტაპზე არ არის განვითარებული საერთო საცხოვრებელი, მაგრამ იკვეთება ამის საჭიროება, სამინისტროს მიერ შეთავაზებულია ალტერნატიული საშუალება რათა სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ საცხოვრისით - სამინისტროს მიერ მხარდაჭერილია საცხოვრებელი ფართის დაქირავება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მხრივ, ასევე აღსანიშნავია **სახელმწიფო ენაში მომზადების ახალი პროგრამა**, რომლის ამოქმედების შემდგომაც, საგანმანათლებლო სფერო უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამის შეთავაზებას, რაც არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, შექმნის პროფესიული და პიროვნული განვითარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესაძლებლობებს. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა „სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი. ასევე შემუშავდა პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, აპლიკანტების შერჩევისთვის მეთოდოლოგიური პაკეტი, A1 და A2 დონეების დამხმარე სასწავლო მასალები. დაიწყო მუშაობა პროგრამის დაფინანსების წესზე, პროგრამის განხორციელების გზამკვლევზე, მასწავლებელთა მომზადების ტრენინგ მოდულსა და A1 დონის სახელმძღვანელოზე.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სისტემა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების, პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების საშუალებას იძლევა. აღნიშნულის მიზანია, მსურველი პირისთვის, ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული განათლების აღიარება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების, კვალიფიკაციის მინიჭების, დასაქმების ან კარიერული ზრდისთვის. რეგულაციის თანახმად, არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება და პროფესიული

მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილი იურიდიული პირი, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია დააკმაყოფილებს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად დადგენილ მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა სერტიფიცირებული ცხრა კონსულტანტის ხელახალი სერტიფიცირება და დამატებით ახალი კონსულტანტების სერტიფიცირების პროცესი. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებული აქვს 8 დაწესებულებას. არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია თითქმის ყველა იმ ფართო სფეროში, სადაც წარმოდგენილია პროფესიული კვალიფიკაციები. 2022 წლის განმავლობაში არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი წარიმართა ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შედეგად, 19-მა პირმა მოიპოვა ნაწილობრივი აღიარება და 1 მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები სრულად დადასტურდა და დაწესებულების მიერ გაიცა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტი – დიპლომი.

ახალი ლოკაციების განვითარებისა და არსებულ კოლეჯებში სამოსწავლო ადგილების გაზრდის შედეგად, 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა და მიაღწია 17 200-ს. 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 13 859 პირი.

2022 წელს სტუდენტთა მიღების პროცესი განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესის შესაბამისად, რომელიც 2021 წლიდან ამოქმედდა და ითვალისწინებს ყველა ავტორიზებული, მათ შორის, კერძო დაწესებულებების მიერ პროფესიული სტუდენტების მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით ჩარიცხვას. აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტთა შერჩევა-შეფასების მიმართულებით გაცილებით მოქნილ მიდგომებს ითვალისწინებს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან ერთად, თავად უზრუნველყოფენ სტუდენტთა შერჩევის პროცესის ორგანიზებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინოვაციური, მრავალფეროვანი და ინკლუზიური ქსელის ჩამოყალიბების მიზნით საკვანძო მნიშვნელობა აქვს დაწესებულებების გაძლიერებას და მათ შორის დაწესებულებების მიერ ერთმანეთისათვის საკუთარი საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას. გამოცდილების გაზიარებისა და დაწესებულებების გაძლიერების მიზნით, დაიწყო სამუშაოები რეგიონული ჰაბების განვითარების მიმართულებით. კოლეჯის რეგიონულ ჰაბებად გარდაქმნა თანმიმდევრული პროცესია და გულისხმობს, რეგიონის ძირითადი კოლეჯების შესაძლებლობების მუდმივ განვითარებას, რეგიონული ჰაბის ფუნქციების შეთავსებისა და გაძლიერების მიზნით. აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, პროფესიული უნარების სააგენტომ შეიმუშავა რეგიონული ჰაბების განვითარების კონცეფციის დოკუმენტი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადებულია 8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების („იბერია“,

„მოდუსი“, „გლდანის პროფესიული კოლეჯი“, „იკაროსი", „თსუ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი", „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია", „ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯი“, „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“) ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა. მიმდინარეობს კოლეჯი „პრესტიჟის“ წესდებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის აღნიშნული მეთოდოლოგიით რევიზია. UNDP-სა და მზიანი სახლის მხარდაჭერით შემუშავდა რეგიონულ ჰაბებში ახალგაზრდული და სტუდენტური სერვისების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინკლუზიურობის ხარისხის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების ერთიანი ჩარჩოს არსებობა და სხვადასხვა დამატებითი სერვისის შეთავაზება ბენეფიციარებისათვის.

2022 წლის განმავლობაში, გაგრძელდა მუშაობა „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების შესახებ“ წესის შეთანხმებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალურ ჩართულობას და ასევე პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიურობის პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით შემუშავდა პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განვითარების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების სერვისების მორგებას სხვადასხვა დამატებითი საჭიროებების მქონე ჯგუფებზე. 2022 წელს შემუშავდა დამატებითი სერვისები სტუდენტებისთვის, მათ შორის დამატებითი საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის: (1) შემუშავდ**ა საორიენტაციო სერვისი შშმ და სსსმ პირებისთვის** (2) შემუშავდა **ფსიქოსოციალური სერვისების განვითარების დოკუმენტი** (3) სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა და დაინერგა **ექსტრაკურიკულური სერვისების განვითარების მექანიზმები.**

ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებას. საანგარიშო პერიოდში **გადამუშავდა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია,** რომელშიც გაიწერა პროფესიული განათლების საფეხურზე კარიერის მართვის სერვისების განვითარების კონცეფცია. პროფესიული უნარების სააგენტომ საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობა კარიერის მართვის მენეჯერების უწყვეტი განვითარების მოდელზე, შეიქმნა კარიერის მართვის მენეჯერების პროფესიული ქსელი და რამდენიმე ეტაპად განხორციელდა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა კარიერული განათლების კურსზე, რაც პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარება კარიერის მართვის უნარების განვითარებაში. გაგრძელდა მუშაობა პროფესიული განათლების საფეხურზე ღია კარის დღეების ახლებურ სერვისებზე.

პროფესიული განათლების სისტემაში 2017 წლიდან დანერგილია **სკოლის მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები**, რომელიც წარმოადგენს კარიერის მართვის სერვისის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს. ინიციატივამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე ახალგაზრდებში, ასევე ხელი

შეუწყო სკოლისა და კოლეჯის თანამშრომლობის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ **პროგრამამ, 2018 წლიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით, 22 000-ზე მეტი მოსწავლე მოიცვა,** განავითარა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაზარდა სექტორის შესახებ ცნობიერება, როგორც მოსწავლეებში, ასევე მათ მშობლებში. პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამის მასშტაბის გაზრდა, 2020-2021 წლებში ცხადია, შეუძლებელი გახდა, თუმცა 2022 წლიდან ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელება, სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, გაგრძელდა პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2017-2019 წლებში განხორციელებული პროგრამების გაგრძელებასთან დაკავშირებული განაცხადები. შედეგად 2022 წელს: (1) პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსები ხელმისაწვდომი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 6855 მოსწავლისთვის; (2) პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსები ხელმისაწვდომია 40-მდე სკოლის მე-10-12 კლასის მოსწავლისთვის. ასევე, ADB და UNDP პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-10-12 კლასის მოსწავლეებისათვის მოკლევადიანი პროფესიული მომზადების კურსების დასანერგად.

ინკლუზიური გარემოს შექმნა გულისხმობს ბენეფიციარების/პოტენციური ბენეფიციარების საჭიროებების გათვალისწინებას სერვისების შეთავაზების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერულად მგრძნობიარე გარემოს შექმნა დაწესებულებებში. ამ მიზნით ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შემუშავდა გენდერის სამოქმედო გეგმა 2022-2026 წლებისათვის, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დანერგვით პროფესიული განათლებისა და უნარების განვითარების ეფექტიანობის ხელშეწყობა. საბოლოო ჯამში აღნიშნული განვითარება უნდა აისახოს პროფესიულ განათლებაში ქალების მონაწილეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების გაზრდილ რაოდენობრივ მაჩვენებლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გენდერულად მგრძნობიარე გარემოს შესაქმნელად ერთ-ერთი საკვანძო საკითხია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და სათანადო ინსტიტუციური მექანიზმების გაჩენა, ამიტომ გეგმა ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის გენდერული სამართლიანობის კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ მოდულის მომზადებას; პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის გადამზადებას აღნიშული მოდულებით; ქალი მასწავლებლების გადამზადებას ლიდერობის მიმართულებით.

მიუხედავად პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ცვლილების დადებითი ტენდენციებისა, პროფესიული განათლების სტიგმატიზაცია, ასევე რეფორმისა და არსებული სერვისების შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა აუცილებელს ხდის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას. აზიის განვითარების ბანკის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა **საკომუნიკაციო სტრატეგიის პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კომპლექსური მიდგომებით როგორც რიგი პროფესიების, ისე სფეროს შესაძლებლობების პოპულარიზაციას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ახალი სტრატეგია ასევე აქცენტს გააკეთებს სხვადასხვა დამატებითი საჭიროების მქონე ჯგუფებთან მრავალფეროვანი გზებითა და

საშუალებებით კომუნიკაციაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების ქსელის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შექმნის სპეციალისტებს შორის გამოცდილების გაზიარების, საერთო გამოწვევების დასაძლევად გაერთიანებისა და ახალი ინიციატივების წამოწყების მხარდამჭერ პლატფორმას. პოპულარიზაციის ყველა აქტივობა გახორციელდება გენდერული მეინისტრიმინგის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდის მიზნით, 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტო ახორციელებდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების, მათ შორის პროფესიების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, პროფესიული განათლების პრესტიჟულობისა და მიმზიდველობის გაზრდას. **კამპანიის შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ პირთა (დაინტერესებულ პირთა) რაოდენობა 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 30%-ით გაიზარდა და შეადგინა 24 449.** 2020 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებულ 9 056 ადგილზე დარეგისტრირდა 14 324 პირი, 2021 წელს 13 871 ადგილზე 18 784 პირი, ხოლო 2022 წელს გამოცხადებულ 17 183 ადგილზე დარეგისტრირდა 24 449 პირი. მოცემულ კონტექსტში საინტერესოა ასევე ACT-ის 2022 წლის „პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევის“ განხილვა, რომლის თანახმადაც წლებთან ერთად პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებები იცვლება და იზრდება დადებითი განწყობები - ანგარიშის თანახმად, ათიდან დაახლოებით ოთხი გამოკითხული არჩევანს პროფესიულ განათლებაზე გააკეთებდა (37%).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1.1: 2022 წელს საბაზო და სრული ზოგადი განათლების საფეხურიდან 156 სსსმ/შშმ პირი ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამებზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1.2: სკოლიდან პროფესიულ განათლებაში გადასვლის მაჩვენებელი საბაზო განათლების მქონე სსსმ პირების შემთხვევაში შეადგენს 5.4% და სრული ზოგადი განათლების მქონე სსსმ პირების შემთხვევაში 18.9%.

აღსანიშნავია, რომ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის მეოთხე ფაზის“ (ENPARD IV) შეთანხმების ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელი იყო სოციალური სტატუსისა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო კონტრიბუციით მხარი დაეჭირა ქალთა მონაწილეობისათვის პროფესიულ განათლებაში. კერძოდ, ინდიკატორი ითვალისწინებდა სახელმწიფო დაფინანსებით ქვეყნის მასშტაბით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა - 081) ჩარიცხული ქალების 5%-იან ზრდას საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (საბაზისო მაჩვენებელი 2019 წ. – 3324 ქალი). სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა - 081) სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხა 6267 ქალი, რაც 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 88.5%-ით მეტია.

მიზანი 3. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობის გაზრდა

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობის გაზრდა მიზნად ისახავს სისტემის უნარების ეკოსისტემად გარდაქმნას, რაც გულისხმობს მრავალი აქტორის ჩართულობით, ახალი როლების გაჩენით, პასუხისმგებლობების გადანაწილებითა და მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის გზით ქვეყანაში უნარების გაძლიერების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნას. ამგვარ მოწყობაში განსაკუთრებული როლი აქვს კერძო სექტორს.

როგორც ანგარიშში აღინიშნა, პროფესიული განათლების რეფორმის შედეგად, თანამონაწილეობითი მართვის უზრუნველსაყოფად, 2021 წელს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ერთობლივად დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - პროფესიული უნარების სააგენტო. სააგენტოს ერთობლივი დაარსება მიზნად ისახავს, საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით: ქვეყნის ეკონომიკის საჭიროებებზე მისადაგებული, თანამედროვე უნარების განვითარების ხელშეწყობას; ინდივიდის საჭიროებებზე მორგებული, ინკლუზიური პროფესიული განათლებისა და განვითარების ხელშეწყობას; ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

პროფესიული განათლების მართვის ახალი მიდგომების დანერგვის მხარდასაჭერად საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ინტენსიური სამუშაოები პროფესიული განათლების მარეგულირებელი ჩარჩოს გადახედვისა და საჭირო ცვლილებების ინიცირების მიმართულებით.

კერძოდ, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წელს დამტკიცებული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მარეგულირებელი ჩარჩო (N416). როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე მკაფიოდ განისაზღვრა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული მხარეები და მათი პასუხისმგებლობები, ამასთან, სისტემაში შემოვიდა კერძო სექტორი, როგორც მონაწილე მხარე დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (დუო) სახით. საანგარიშო პერიოდში, აქტიურად წარიმართა მუშაობა იმ აქტების შემუშავებისა და შეთანხმების მიმართულებით, რომლებიც დაარეგულირებენ დარგობრივი უნარების ორგანიზაციის უფლებამოსილებებს პროფესიული განათლების ფარგლებში.

პროფესიული განათლების მართვის ეფექტურობის საწინდარია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით ხდება სისტემაში მიმდინარე პროცესების წარმართვა. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ხელმისაწვდომია სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში. გარდა ამისა, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფოკუსია პროფესიული განათლების

სისტემაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, ამ მიზნით სააგენტოში მუშაობს სპეციალური გუნდი, შესაბამისად სააგენტოს მიერ სისტემატიურად დაიგეგმება და განხორციელდება საკვანძო კვლევები, რაც პროფესიული განათლების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

ეფექტური და მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისათვის არსებითია დაფინანსების განახლებული მოდელის დანერგვა, რაც პროფესიული განათლების მასშტაბის ზრდის პირობებში ფინანსური და ადამიანური რესურსების ზრდასა და ბიუჯეტის უფრო ეფექტიან მართვას შეუწყობს ხელს. საანგარიშო პერიოდში, გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულებების შედეგებზე დაფუძნებულ დაფინანსების მოდელს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1.1: დამსაქმებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებული კვლევის "პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა[1] *მიხედვით, დამსაქმებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს 60%-ს.*

სხვა საკითხები

ხაზგასასმელია, რომ პროფესიული განათლების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტები მხარდაჭერილია დონორი ორგანიზაციების მიერ. მათ შორის არიან ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW). ევროპის განათლების ფონდი (ETF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და სხვა. სწორედ სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ფინანსური რესურსების მობილიზებითა და მხარდაჭერით შეიქმნა პროფესიული განათლების სისტემის ეტაპობრივი მოდერნიზების შესაძლებლობა საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ამ მიზნის რეალიზებისთვის საანგარიშო პერიოდშიც არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა, რაც შეუძლებელი იქნებოდა პროფესიული განათლების სისტემის მხარდამჭერი პარტნიორების გარეშე.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარება ერთ-ერთ სამთავრობო პრიორიტეტია და აღსანიშნავია, რომ გარდა მზარდი დონორული დაფინანსებისა, ყოველწლიურად იზრდება პროფესიული განათლების საბიუჯეტო დაფინანსებაც. კერძოდ, პროფესიული განათლების

[1] გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ 2022 წელს ჩატარებული "პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა"

საბიუჯეტო დაფინანსებამ, 2021 წელს - 76.2 მლნ. ლარი (ფაქტობრივი ხარჯი), ხოლო 2022 წელს, 92.6 მლნ ლარი (ფაქტობრივი ხარჯი) შეადგინა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში 2021 წლის ინდიკატორის წარმატებით შესრულებისათვის ჩაირიცხა - 1 მილიონი ევრო.